



შავი ზღვის ბიზნესის აკადემია  
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა /2017-2018 წელი/

ბათუმი  
2017 წ

შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შექმნილია იმისათვის, რომ აკადემიამ შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის და ამოცანების გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. წინამდებარე გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების აღწერას, მასში გაწერილია: დაგეგმილი აქტივობა, რა უნდა გაკეთდეს დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად, ვინ არის პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მოხდება 2018 წლის თებერვლის ბოლოს. ადმინისტრაცია ვალდებულია ახალ თანამშრომელს გააცნოს წინამდებარე დოკუმენტი.

დაგეგმილი აქტივობა	რა უნდა გაკეთდეს	პასუხისმგებელი პირი	ვადები	მოსალოდნელი შედეგი
აბიტურიენტების მოზიდვა	აბიტურიენტებთან შეხვედრები, კონსულტაციები, საბუთების მიღება, რეკლამა.	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.	2017 წლის თებერვალი – აგვისტო	საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.
პრაქტიკის ობიექტების დამატება	საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმება სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით. საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან პრაქტიკის მოდულების განხილვა. კონსულტაციებისა და შეხვედრების გამართვა.	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2017 წელი აგვისტო – 2018 წელი თებერვალი	პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, პრაქტიკის ობიექტების ეფექტიანი ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.
უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება	უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2017–2018 წელი	საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული გამოცდილების გაზიარება.
დაწესებულებაში სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა ანონიმური გამოკითვა	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავებული ანონიმური კითხვარების მიხედვით სტუდენტთა გამოკითვა გამოკითხვის შედეგების ანალიზი სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით	დაწესებულების დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.	2017–2018 წელი	ავტორიზაციის დებულებასა და სტანდარტებში არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფა სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხი

პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება /ტრენინგები	სატრენინგო სისტემის დანერგვა ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან აქტიური თანამშრომლობა ტრენინგებში მონაწილეობისათვის.	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.	2017 – 2018 წელი	პროგრამის განმახორციელებელთა პირთა კვალიფიკაციის ამაღლება. (სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია. შფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები)
დაწესებულებაში სამუშაო პირობებისა და ადმინისტრაციის შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების მიხედვით ანონიმური გამოკითვა	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ადმინისტრაცია.	2017 – 2018 წელი	აკადემიაში შრომის პირობების გაუმჯობესება.
სასწავლო პროცესის მონიტორინგი	მოდულური პროცესების დანერგვის პროცესის მუდმივი მონიტორინგი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან კონსულტაციები.	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები.	2017 წელი მარტი 2018 წელი თებერვალი	
კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან შეხვედრა/- კონსულტაციები	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან კონსულტაციების გამართვა, დასაქმების ბაზრის შესწავლა და დამსაქმებულთა რეკომენდაციების მიღება	დაწესებულების დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	2017 – 2018 წელი	დამსაქმებლის ჩართულობა კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაში
ექსკურსიის მოწყობა	აჭარის რეგიონში ტურისტული ობიექტების დათვალიერება	დირექტორი, ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური,	2017 – 2018 წელი	გართობა დასვენება.
სამოქმედო გეგმების მომზადება	2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვა, ანალიზი და 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	დაწესებულების დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია.	2018 წელი - თებერვალი	2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშისა და 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის დროული მომზადება.